



2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

ონლაინ მედიის მონიტორინგი

11 ივლისი - 30 აგვისტო, 2016

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი“ (CDI) ატარებს მედიამონიტორინგს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ ფარგლებში. მონიტორინგი ხორციელდება 2016 წლის 20 მაისიდან 2016 წლის 19 დეკემბრის ჩათვლით და მოიცავს 17 ონლაინ გამოცემას: allnews.ge, ambebi.ge, droni.ge, etanews.ge, info9.ge, interpressnews.ge, marshalpress.ge, netgazeti.ge, newposts.ge, news.ge, palitratv.ge, pirveli.com.ge, presa.ge, reportiori.ge, tabula.ge, civil.ge, dfwatch.net.

მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილია მედიამონიტორინგის შედეგები 11 ივლისიდან 30 აგვისტოს ჩათვლით.

მასალის რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- ონლაინ მედიაში ყველაზე აქტიურად შუქდებოდა პოლიტიკური პარტიები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;
- მონიტორინგისთვის შერჩეული 17 ვებგვერდიდან 6-ზე ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ხოლო 2 ვებგვერდზე - მმართველი გუნდის გაშუქებისას;
- 6 ვებგვერდზე ჭარბობდა დადებითი ტონის მაჩვენებლები მმართველი გუნდის გაშუქებისას. ერთ ვებგვერდზე კი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გაშუქებისას;

- მონიტორინგისთვის შერჩეულ მხოლოდ 3 ვებგვერდზე შეინიშნება ცალსახად გამოხატული დადებითი თუ უარყოფითი განწყობა ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მიმართ;
- ონლაინ მედიაში შეინიშნება კრიტიკული ანალიზის ნაკლებობა. საკმაოდ იშვიათად გვხვდება ჟურნალისტთა მსჯელობა და საკითხების სიღრმისეული ანალიზი. ვებგვერდები, ხშირ შემთხვევებში, მხოლოდ პოლიტიკოსთა განცხადებებსა და სახვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენელთა საქმიანობას აშუქებენ;
- 2016 წლის 29 აგვისტოს მონიტორინგისთვის შერჩეულმა 4-მა ონლაინ გამოცემამ პრაქტიკულად უცვლელად გამოაქვეყნა თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია თავდაცვის მინისტრის ავღანეთში ვიზიტის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ ოთხი ვებგვერდიდან არც ერთს არ მიუთითებია, რომ მასალა მოპოვებული იყო თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდიდან;
- ონლაინ მედიის სერიოზულ გამოწვევად რჩება სარედაქციო მასალებისა და კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიების არასათანადოდ გამიჯვნა;
- ვებგვერდების უმეტესობა მეტ-ნაკლებად იცავს ჟურნალისტურ სტანდარტებსა და ეთიკის ნორმებს. ნაკლებად გვხვდება ჟურნალისტთა მხრიდან შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები.

(შენიშვნა: მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილი შეფასებები ეყრდნობა მხოლოდ პოლიტიკურ სუბიექტა გაშუქების ანალიზს)


allnews.ge

მონიტორინგის პირველ პერიოდთან შედარებით allnews.ge-ზე იმატა პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კრიტიკამ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კრიტიკა ძირითადად გვხვდებოდა რსპონდენტთა განცხადებებში და არა ჟურნალისტთა ტექსტებში. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უბეში დარღვევის შემთხვევები allnews.ge-ზე არ გამოვლენილა.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ყველაზე აქტიურად მთავრობის (31%), ადგილობრივი თვითმმართველობების (15%), პარტიების „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (9%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (8%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული

მაჩვენებელი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (55%) გაშუქებისას გამოიკვეთა. დადებითი ტონის შედარებით მაღალი მაჩვენებლები ერგო პრემიერ-მინისტრს (32%), „რესპუბლიკურ პარტია“ (18%) და მთავრობას (12%).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ allnews.ge-ზე დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები. რაოდენობრივი ანალიზის შედეგად შეინიშნება უარყოფითი განწყობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ.




ambebi.ge

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ambebi.ge-ზე აღარ შეიმჩნეოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები ambebi.ge-ზე არ გამოვლენილა.

ambebi.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობა (24%), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (14%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (13%) გაშუქდა. უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი გამოვლინდა ადგილობრივი თვითმმართველობების (41%) გაშუქებისას. უარყოფითი ტონის თითქმის თანაბარი მაჩვენებლები გამოვლინდა პარტიების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (27%) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (26%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები კი პრემიერ-მინისტრსა (24%) და მთავრობას (23%) ერგო.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგის პირველ პერიოდთან შედარებით ambebi.ge-ზე აღარ შეიმჩნევა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა მონიტორინგის რომელიმე სუბიექტის მიმართ. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ჟურნალისტური სტანდარტების დარღვევის შემთხვევები ambebi.ge-ზე არ შეგვხვედრია.



civil.ge

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში civil.ge-ზე არ შეიმჩნეოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. ვებგვერდზე მაღალ დონეზეა დაცული ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. Civil.ge გამოირჩევა საკითხების სიღრმისეული ანალიზით და ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნებით ცალკეულ სტატიებში.


civil.ge-ზე ყველაზე აქტიურად პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (19%), პრემიერ-მინისტრის (13%), მთავრობის (13%), პრეზიდენტისა (12%) და პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (11%) საკმიანობა გაშუქდა. ყველა აღნიშნული სუბიექტის გაშუქებისას ჭარბობს ნეიტრალური ტონის მაჩვენებლები. დადებითი ან უარყოფით ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებელი არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ civil.ge ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ვებგვერდი მაღალ დონეზე იცავს ჟურნალისტურ სტანდარტებსა და ეთიკის ნორმებს.

სუბიექტების გაშუქება civil.ge-ზე

ტონის მიხედვით (%)

(11 ივლისი - 30 აგვისტო, 2016)



dfwatch.net

მონიტორინგის პირველ პერიოდთან შედარებით dfwatch.net-ზე შემცირდა პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კრიტიკა და ვებგვერდზე არ შეიმჩნევა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. dfwatch.net-ზე დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ყველაზე აქტიურად მთავრობისა (18%) და პრემიერ-მინისტრის (13%) საქმიანობა გაშუქდა. პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე აქტიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (9%), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (8%) და „რესპუბლიკური პარტია“ (7%) შუქდებოდა. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოიკვეთა ადგილობრივი თვითმმართველობებისა (40%) და პარტიის „ცენტრისტები“ (26%) გაშუქებისას. დადებითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ dfwatch.net ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ვებგვერდზე დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

სუბიექტების გაშუქება dfwatch.net-ზე

ტონის მიხედვით (%)

(11 ივლისი - 30 აგვისტო, 2016)



droni.ge


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში droni.ge-ზე ჭარბობდა დადებითი ტონის მაჩვენებლები ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გაშუქებისას. უნდა აღინიშნოს, რომ droni.ge ნაკლები სიხშირით აშუქებს პოლიტიკურ საკითხებს.

droni.ge-ზე ყველაზე აქტიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (24%), აჭარის მთავრობა (13%), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (11%) და პრემიერ-მინისტრი (10%) გაშუქდა. დადებითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები ერგო ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს (66%), პარტიას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (37%), პრემიერ-მინისტრს (35%) და აჭარის მთავრობას (23%). დადებითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებელი მონიტორინგის არცერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში droni.ge-ზე შეგვხვდა კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატია, რომელსაც მკაფიოდ არ ჰქონდა მინიშნებული, რომ ის სარედაქციო ნამუშევარს არ წარმოადგენდა. სტატიას დასაწყისში ერთვოდა ქართული „რ“, ხოლო ბოლოში ლათინური „R“. უმჯობესი იქნება, რომ ვებგვერდმა სრულად დაწეროს სიტყვა „რეკლამა“, რადგან მხოლოდ „რ“ შეიძლება არ აღმოჩნდეს მკითხველისთვის საკმარისად ნათელი განმარტება.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემულ პერიოდში droni.ge-ზე ჭარბობდა დადებითი ტონის მაჩვენებლები საპარლამენტო ოპოზიციისა და ექს-

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გაშუქებისას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ვებგვერდი ნაკლებად აქტიურად აშუქებს პოლიტიკურ თემებს.




etanews.ge

მონიტორინგის პირველ პერიოდთან შედარებით etanews.ge-ზე კიდევ უფრო ცხადად შეიმჩნევა ერთი მხრივ, უარყოფითი განწყობა პარტიისადმი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისადმი, ხოლო მეორე მხრივ, დადებითი განწყობა სახელისუფლებო გუნდის მიმართ. ცალკეულ სტატიებში etanews.ge-ზე დაცულია ჟურნალისტური ეთიკის ნორმები, თუმცა მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ვებგვერდზე შეგვხვდა რამდენიმე სტატია, რომლებიც პლაგიატის ნიშნებს შეიცავდა.

ყველაზე აქტიურად მთავრობის (30%), ადგილობრივი თვითმმართველობებისა (25%) და პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (16%) საქმიანობა გაშუქდა. აღსანიშნავია, რომ ხსენებული სუბიექტების გაშუქებისას ჭარბობდა დადებითი ტონის პროცენტული მაჩვენებლები. უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები ერგო ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს (58%) და პარტიას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (49%).

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში etanews.ge-ზე შეგვხვდა რამდენიმე სტატია, რომლებიც პლაგიატის ეჭვს აჩენდა. მაგალითად, 27 ივლისს, interpressnews.ge-ზე და etanews.ge-ზე ერთდროულად გამოქვეყნდა იდენტური სტატიები ბორჯომში ტროტუარების მოწყობის დასრულებასთან დაკავშირებით. interpressnews.ge-ზე სტატიას მითითებული ჰქონდა, რომ ის მომზადებული იყო კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში, ხოლო etanews.ge-ზე განთავსებულ სტატიას მსგავსი მინიშნება არ ჰქონია. 29 აგვისტოს მონიტორინგისთვის შერჩეულმა ექვსმა ვებგვერდმა გამოაქვეყნა სტატია თავდაცვის მინისტრის ავღანეთში ვიზიტის შესახებ. აღნიშნული ექვსი ვებგვერდიდან ოთხს ეს ინფორმაცია პრაქტიკულად უცვლელად ჰქონდა აღებული თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდიდან, ხოლო interpressnews.ge-ს და etanews.ge-ს კი მცირედი ცვლილებებით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი ვებგვერდის სტატია აბსოლუტურად იდენტურია სათაურების ჩათვლით. ამ ორი ვებგვერდიდან არც ერთს არ ჰქონდა მითითებული აღნიშნული სტატია რედაქციის მიერ იყო მომზადებული თუ რაიმე სხვა წყაროდან მოპოვებული.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ etanews.ge-ზე შეინიშნება დადებითი განწყობა სახელისუფლებო გუნდის, ხოლო უარყოფითი განწყობა პარტიისადმი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ. ვებგვერდზე გვხვდება სტატიები, რომლებიც პლაგიატის ეჭვებს აჩენს.



info9.ge

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში info9.ge-ზე კვლავ შეიმჩნევა დადებითი განწყობა სახელისუფლებო გუნდის, ხოლო უარყოფითი განწყობა პარტიისადმი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ. info9.ge ერთ-ერთია იმ ოთხი ვებგვერდიდან, რომლებმაც მონიტორინგის მოცემულ პერიოდში პრაქტიკულად უცვლელად გამოაქვეყნეს თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია თავდაცვის მინისტრის ავღანეთში ვიზიტის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ ოთხი ვებგვერდიდან არც ერთს არ მიუთითებია, რომ მაღასა მოვოპებული იყო თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდიდან.

info9.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობის (36%), პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (17%), ადგილობრივი თვითმმართველობებისა (10%) და პრემიერ-მინისტრის (9%) საქმიანობა გაშუქდა. ოთხივე აღნიშნული სუბიექტის გაშუქებისას ჭარბობდა დადებითი ტონის პროცენტული მაჩვენებლები. უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლები კი ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა (58%) და პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (55%) გაშუქებისას გამოვლინდა.


info9.ge-მ 29 აგვისტოს გამოაქვეყნა სტატია თავდაცვის მინისტრის ავღანეთში ვიზიტის შესახებ, რომლის ტექსტიც იდენტურია თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალისა. info9.ge-ს არ ჰქონდა მითითებული თუ საიდან იყო ეს მასალა მოპოვებული.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ info9.ge-ზე შეინიშნება დადებითი განწყობა სახელისუფლებო გუნდის და უარყოფითი განწყობა საპარლამენტო ოპოზიციის მიმართ. რიგ შემთხვევებში ვებგვერდზე არ არის გამიჯნული, სარედაქციო მასალა კომერციული ხელშეკრულების ფარგლებშია მომზადებული თუ სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ მიწოდებული მასალებისგან.

სუბიექტების გაშუქება info9.ge-ზე

ტონის მიხედვით (%)

(11 ივლისი - 30 აგვისტო, 2016)




interpressnews.ge

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში *interpressnews.ge*-ზე არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. ვებგვერდზე დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. *interpressnews.ge* მიჰყვას სარედაქციო მასალებს კომერციული ხელშეკრულებების ფარგლებში მომზადებული სტატიებისგან, თუმცა აღნიშნულ სტატიებს განმარტება მითითებული აქვს ლათინული სიმბოლოებით, რაც, შეიძლება, რომ ყველა მკითხველისთვის მარტივად გასაგები არ იყოს.

interpressnews.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობის (27%), პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (18%), ადგილობრივი თვითმმართველობებისა (10%) და პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (8%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა პარტიების „ცენტრისტები“ (46%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (30%), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (28%) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (20%) გაშუქებისას. უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლები ერგო ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილსა (59%) და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს (46%). დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები გამოვლინდა აჭარის მთავრობისა (37%) და ადგილობრივი თვითმმართველობების (35%) გაშუქებისას.

მონიტორინგისთვის შერჩეული რამდენიმე ვებგვერდისგან განსხვავებით interpressnews.ge უთითებს კომერციული ხელშეკრულებების ფარგლებში მომზადებულ სტატიებს. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მითითება არ არის ნებისმიერი მკითხველისთვის მარტივად გასაგები, რადგან მითითებები შესრულებული არის ლათინური სიმბოლოებით (სიმბოლო “NS” რომელთან კურსორის მიახლოების შედეგად იწერება „News from Subscriber“). უმჯობესია იქნება, რომ ვებგვერდმა მსგავს სტატიებს დაურთოს ისეთი მინიშნებები, რომლებიც უფრო მარტივად გასაგები იქნება მკითხველისთვის.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ interpressnews.ge მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. ვებგვერდზე დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.



marshalpress.ge


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში marshalpress.ge-ზე ცხადად შეინიშნებოდა ერთი მხრივ დადებითი განწყობა მმართველი გუნდისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის, ხოლო, მეორე მხრივ, უკიდურესად უარყოფითი განწყობა პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ. უარყოფითი ტონის მაჩვენებლები ჭარბობდა პარტიის „სახელმწიფო ხალხისთვის“ და საქართველოს პრეზიდენტის გაშუქებისას. ვებგვერდზე გვხვდება

ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების საკმაოდ მძიმე დარღვევის შემთხვევები.

marshalpress.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობის (22%), პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (19%), პრემიერ-მინისტრისა (16%) და პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (11%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა (88%) და პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (82%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები კი ერგო ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილს (72%), ადგილობრივ თვითმმართველობებს (38%), მთავრობასა (37%) და პრემიერ-მინისტრს (35%).

marshalpress.ge-ს სტატიებში ხშირად გვხვდებოდა დაუსაბუთებელი მსჯელობა და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები. აღნიშნული დარღვევები ძირითადად გვხვდებოდა საპარლამენტო ოპოზიციის, ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის, პაატა ბურჭულაძისა და პრეზიდენტის გაშუქებისას (მაგალითად, სტატიებში: „მარგველაშვილი რეფერენდუმის ჩატარებას არ აპირებს - პრეზიდენტმა ხალხის აზრი დაიკიდა“, 9 აგვისტო; „იავნანას“ ფონდიდან ნაყიდი ძვირადღირებული ჯიპები და დაკარგული 5 მილიონი“, 25 ივლისი).


მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ marshalpress.ge-ზე ცხადად შეინიშნება დადებითი განწყობა სახელისუფლებო გუნდის, ხოლო უკიდურესად უარყოფითი განწყობა საპარლამენტო ოპოზიციის, პაატა ბურჭულაძისა და საქართველოს პრეზიდენტის მიმართ. ვებგვერდზე ხშირად გვხვდება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები.



მონიტორინგის მოცემულ პერიოდში netgazeti.ge-ზე არ შეიმჩნეოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. ვებგვერდზე შედარებით ჭარბობდა პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კრიტიკა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კრიტიკა გვხვდებოდა რესპონდენტთა განცხადებებში და არა ჟურნალისტთა ტექსტებში. ვებგვერდზე დაცული იყო ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. აღსანიშნავია, რომ netgazeti.ge მკაფიოდ მიჯნავს კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებულ სტატიებს სარედაქციო მასალებისგან. netgazeti.ge გამოირჩევა საკითხების სიღრმისეული ანალიზით და ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნებით ცალკეულ სტატიებში.

netgazeti.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობის (20%), პარტიების „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (15%), „რესპუბლიკური პარტია“ (10%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (9%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ერგო პარტიებს „ცენტრისტები“ (31%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (20%). დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლები მონიტორინგის სხვა სუბიექტების გაშუქებისას არ გამოვლენილა.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ netgazeti.ge მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ვებგვერდი მაღალ დონეზე იცავს ჟურნალისტურ სტანდარტებსა და ეთიკის ნორმებს.



newposts.ge

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში newposts.ge-ზე ჭარბობდა დადებითი ტონის მაჩვენებლები სახელისუფლებო გუნდის გაშუქებისას. newposts.ge ერთ-ერთია იმ ოთხი ვებგვერდიდან, რომლებმაც მონიტორინგის მოცემულ პერიოდში პრაქტიკულად უცვლელად გამოაქვეყნეს თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია თავდაცვის მინისტრის ავღანეთში ვიზიტის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ ოთხი ვებგვერდიდან არც ერთს არ მიუთითებია, რომ მაღასა მოვოპებული იყო თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდიდან.

newposts.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობის (26%), პარტიების „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (19%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (9%) საქმიანობა გაშუქდა. დადებითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები ერგო პარტიას „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველო“ (36%), ადგილობრივ თვითმმართველობებს (26%), პარტიას „თავისუფალი დემოკრატები“ (25%), პრემიერ-მინისტრსა (25%) და მთავრობას (20%). უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (18%) გაშუქებისას.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში newposts.ge-ზე შეგვხვდა არაერთი სტატია, სადაც ინფორმაციის საეჭვო წყაროებზე დაყრდნობით ჟურნალისტები მსჯელობდნენ სხვადასხვა სახელმწიფო თანამდებობაზე სავარაუდოდ წარსადგენი კანდიდატების ვინაობაზე (მაგალითად: „კახიშვილი თუ სესიაშვილი - ვინ შეცვლის ხიდაშელს?“, 20 ივლისი).


newposts.ge-მ 29 აგვისტოს გამოაქვეყნა სტატია თავდაცვის მინისტრის ავღანეთში ვიზიტის შესახებ, რომლის ტექსტიც იდენტურია თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალისა. newposts.ge-ს არ ჰქონდა მითითებული თუ საიდან იყო ეს მასალა მოპოვებული.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ newposts.ge-ზე შედარებით ჭარბობს დადებითი ტონის მაჩვენებლები სახელისუფლებო გუნდის გაშუქებისას. რიგ შემთხვევებში ვებგვერდზე არ არის გამიჯნული სარედაქციო მასალა კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული თუ სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ მიწოდებული მასალებისგან.

სუბიექტების გაშუქება newposts.ge-ზე

ტონის მიხედვით (%)

(11 ივლისი - 30 აგვისტო, 2016)



news.ge

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში news.ge-ზე არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები ვებგვერდზე არ გამოვლენილა.


news.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობის (22%), პრემიერ-მინისტრის (13%), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (13%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (11%) და პრეზიდენტის (9%) საქმიანობა გაშუქდა. დადებითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებელი გამოვლინდა პრემიერ-მინისტრის (40%) გაშუქებისას. უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებელი კი ადგილობრივ თვითმმართველობებს (40%) ერგო. უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილისა (69%) და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (56%) გაშუქებისას.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ news.ge მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ვებგვერდზე დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

სუბიექტების გაშუქება news.ge-ზე

ტონის მიხედვით (%)

(11 ივლისი - 30 აგვისტო, 2016)



palitratv.ge

მონიტორინგის პირველი პერიოდისგან განსხვავებით *palitratv.ge*-ზე იკლო პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კრიტიკამ და ვებგვერდზე აღარ შეინიშნება დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები *palitratv.ge*-ზე არ გამოვლენილა.


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ყველაზე აქტიურად მთავრობის (26%), პარტიების „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (15%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (9%) და ადგილობრივი თვითმმართველობების (8%) საქმიანობა გაშუქდა. დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

მონიტორინგის პერიოდში *palitratv.ge*-ზე გვხვდებოდა სპეციალური, ვებგვერდის მიერ მომზადებული, პოლიტიკური ხასიათის პროგრამები და ასევე, ამონარიდები სხვადასხვა პროგრამიდან. აღნიშნული პროგრამებსა და ამონარიდებში რესპონდენტთა შერჩევისას დაცული იყო ბალანსი და გვხვდებოდა როგორც მმართველი პარტიის, ასევე საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელთა საკმაოდ ხანგრძლივი გამოსვლები.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ palitratv.ge მიუკერძოებლად აშუქებს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ვებგვერდზე დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

სუბიექტების გაშუქება palitratv.ge-ზე ტონის მიხედვით (%)

(11 ივლისი - 30 აგვისტო, 2016)



pirveli.com.ge


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში pirveli.com.ge-ზე კვლავ შეინიშნებოდა დადებითი განწყობა სახელისუფლებო გუნდისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის, ხოლო უარყოფითი განწყობა პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ. pirveli.com.ge ერთ-ერთია იმ ოთხი ვებგვერდიდან, რომლებმაც მონიტორინგის მოცემულ პერიოდში პრაქტიკულად უცვლელად გამოაქვეყნეს თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია თავდაცვის მინისტრის ავღანეთში ვიზიტის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ ოთხი ვებგვერდიდან არც ერთს არ მიუთითებია, რომ მაღასა მოვოპებული იყო თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდიდან.

pirveli.com.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობის (36%), პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (17%), პრემიერ-მინისტრისა (10%) და ადგილობრივი თვითმმართველობების (7%) საქმიანობა გაშუქდა. აღნიშნული სუბიექტების გაშუქებისას ჭარბობდა დადებითი ტონის პროცენტული მაჩვენებლები. დადებითი ტონის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი ერგო ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილსაც (42%).

უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლები კი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (60%) და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (57%) გაშუქებისას გამოვლინდა.

pirveli.com.ge-მ 29 აგვისტოს გამოაქვეყნა სტატია თავდაცვის მინისტრის ავღანეთში ვიზიტის შესახებ, რომლის ტექსტიც იდენტურია თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალისა. pirveli.com.ge-ს არ ჰქონდა მითითებული თუ საიდან იყო ეს მასალა მოპოვებული.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ pirveli.com.ge-ზე შეინიშნება დადებითი განწყობა სახელისუფლებო გუნდისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის, ხოლო უარყოფითი განწყობა საპარლამენტო ოპოზიციისა და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ. რიგ შემთხვევებში ვებგვერდზე არ არის გამიჯნული სარედაქციო მასალა კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული თუ სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ მიწოდებული მასალებისგან.




მონიტორინგის მოცემულ პერიოდში presa.ge-ზე ცხადად შეინიშნებოდა უარყოფითი განწყობა პარტიების „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის მიმართ. აღნიშნული სუბიექტების გასუქებისას შეგვხვდა ჟურნალისტური სტანდარტების დარღვევის შემთხვევები. ადგილი ჰქონდა გადაუმოწმებელი ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევებსაც.

presa.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობა (18%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (16%) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (15%) გაშუქდა. უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის (79%), პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (45%) და ადგილობრივი თვითმმართველობების გაშუქებისას (45%). დადებითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის მიმართ კრიტიკული განწყობა შეინიშნება თვისებრივი ანალიზის შედეგადაც. აღნიშნული სუბიექტების გაშუქებისას რიგ შემთხვევებში presa.ge-ს ჟურნალისტები იყენებდნენ შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას; მაგალითად: „ყოფილი ფეხბურთელი, რომელიც პოლიტიკურ ოლიმპოზე ივანიშვილმა ალაზევა, აღმოჩნდა რომ არც ისე მცირე მადით გამოირჩევა“, „იდეოლოგიას და ერთიან მსოფლმხედველობრივ მიზანს მოკლებულ გაერთიანებას, რომელიც მხოლოდ არჩევნებში გამარჯვებისთვის შეიქმნა, წინასაარჩევნო პროცესში უამრავი ქვემიმდინარეობა გამოეყო, საკუთარი პერსონა-ლიდერებით და ინტერესებით, სადაც კალაძის მადა ველარ ჯდება ისე ჰარმონიულად, რომ ყველა კმაყოფილი იყოს“ („სკანდალი კალაძის ირგვლივ - რა მოხდება წინასაარჩევნოდ?“, 11 ივლისი).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი დაკვირვების შედეგად presa.ge-ზე ცხადად შეინიშნება უარყოფითი განწყობა პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის მიმართ. ვებგვერდზე შეგვხვდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის არაერთი შემთხვევა.

სუბიექტების გაშუქება presa.ge-ზე
ტონის მიხედვით (%)
(11 ივლისი - 30 აგვისტო, 2016)



reportiori.ge


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში reportiori.ge-ზე შეინიშნებოდა ერთი მხრივ უკიდურესად უარყოფითი განწყობა პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის, ხოლო, მეორე მხრივ, საკმაოდ დადებითი განწყობა მმართველი გუნდისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის მიმართ. ვებგვერდზე გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები. reportiori.ge ერთ-ერთია იმ ოთხი ვებგვერდიდან, რომლებმაც მონიტორინგის მოცემულ პერიოდში პრაქტიკულად უცვლელად გამოაქვეყნეს თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია თავდაცვის მინისტრის ავღანეთში ვიზიტის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ ოთხი ვებგვერდიდან არც ერთს არ მიუთითებია, რომ მალასა მოვოპებული იყო თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდიდან.

reportiori.ge-ზე ყველაზე აქტიურად პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (24%), მთავრობისა (20%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (14%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (90%) და პარტიების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (85%), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (80%) და „ცენტრისტები“ (75%) გაშუქებისას. დადებით ტონის მაღალი მაჩვენებლები კი ერგო ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილს (76%), პარტიას „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველო“ (42%), ადგილობრივ თვითმმართველობებსა (32%) და საქართველოს მთავრობას (29%).

მონიტორინგის პერიოდში reportiori.ge-ზე საკმაოდ ხშირად გვხვდებოდა სხვადასხვა პირის მიერ Facebook-ზე განთავსებული მოკლე წერილები, რომლებიც არ შეიცავდა პრაქტიკულად არანაირ სიახლეს. აღსანიშნავია, რომ ამ მოკლე წერილების დიდი უმეტესობა წარმოადგენდა კრიტიკულ განცხადებებს პარტიების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ.

reportiori.ge-მ 29 აგვისტოს გამოაქვეყნა სტატია თავდაცვის მინისტრის ავღანეთში ვიზიტის შესახებ, რომლის ტექსტიც იდენტურია თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალისა. reportiori.ge-ს არ ჰქონდა მითითებული თუ საიდან იყო ეს მასალა მოპოვებული.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ reportiori.ge-ზე ცხადად შეინიშნება დადებითი განწყობა სახელისუფლებო გუნდის, ხოლო უკიდურესად უარყოფითი განწყობა საპარლამენტო ოპოზიციის მიმართ. ვებგვერდზე ირლვევა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.



tabula.ge

მონიტორინგის პირველ პერიოდთან შედარებით tabula.ge-ზე კიდევ უფრო იმატა საქართველოს მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობების კრიტიკამ. თუმცა, აღნიშნული კრიტიკა ძირითადად გვხვდებოდა რესპონდენტთა

განცხადებებში და არა ჟურნალისტთა ტექსტებში. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები tabula.ge-ზე არ გამოვლენილა.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (19%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (18%), მთავრობა (16%) და პრემიერ-მინისტრი (9%) გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა პარტიის „ცენტრისტები“ (68%) ადგილობრივი თვითმმართველობებისა (60%) და საქართველოს მთავრობის (39%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ერგო პრემიერ-მინისტრს (40%).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ tabula.ge-ზე შეიმჩნევა შედარებით უარყოფითი განწყობა მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მიმართ. ვებგვერდზე დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

დასკვნა

ქართულ ონლაინ მედიაში კვლავ შეინიშნება კრიტიკული ანალიზის ნაკლებობა. ვებგვერდების უმრავლესობა უკომენტაროდ აქვეყნებს სხვადასხვა პოლიტიკოსის განცხადებებსა და სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობას. იშვიათად გვხვდება საკითხების სიღრმისეული გაშუქება და ანალიზი. ასევე, საკმაოდ იშვიათია ცალკეულ სტატიებში განსხვავებული მოსაზრებებისა და შეხედულებების წარმოდგენა. უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტური ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები საკმაოდ იშვიათად გვხვდება. მონიტორინგის მეორე პერიოდში 16 ვებგვერდიდან მხოლოდ 3-ზე გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები.

ონლაინ მედიის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება სარედაქციო მასალებისა და კომერციული ხელშეკრულებების ფარგლებში მომზადებული სტატიების არასათანადო გამიჯვნა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მონიტორინგის მეორე პერიოდში ოთხმა ონლაინ გამოცემამ პრაქტიკულად უცვლელად გამოაქვეყნა თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია თავდაცვის მინისტრის ავღანეთში ვიზიტის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ ონლაინ გამოცემებიდან, არც ერთს არ მიუთითებია მასალის პირველწყაროდ თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდი.